ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7739260

ნომერი: AR11119899

თარიღი : 02.12.2025

გაცემის თარიღი : 12.12.2025

გაცნობის თარიღი : 12.12.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 24ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ცაავა პ/ნ 62001038422
- სოხუმი ცხაკაიას ქ. N 64

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115487 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 2 დეკემბერს №AR11119899 განცხადებით მომართა ლევან ცაავამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 4

ივლისის №7115487 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115487 ბრძანებით, №01.10.13.004.237 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115487 ბრძანებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში არასწორად არის დაფიქსირებული მშენებლობის ეტაპები და რიგითობა. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115487 ბრძანებასა და ამავე ბრძანებით შეთანხმებულ კალენდარულ გრაფიკში დაფიქსირებული მშენებლობის ეტაპების რიგითობა ურთიერთშეუსაბამოა. შესაბამისად, შესაძლებელია შეთანხმებულ ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და მშენებლობის ეტაპების რიგითობის კალენდარულ გრაფიკთან შესაბამისობაში მოყვანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115487ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115487 ბრძანებაში და:
1.1. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილიდან ამოღებულ იქნეს მესამე პუნქტი.
1.2. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში მშენებლობის რიგითობა და ეტაპები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. მიწის სამუშაოები, ფუძის სამუშაოები, საძირკვლის მოწყობის სამუშაოები. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე.
4. შენობა-ნაგებობის I და II სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
შენობა-ნაგებობის III და IV სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
შენობა-ნაგებობის V და VI სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
შენობა-ნაგებობის VII და VIII სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.
შენობა-ნაგებობის IX და X სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.
შენობა-ნაგებობის XI სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.
5. შენობა-ნაგებობის სახურავის და გადახურვის მოწყობა.
6. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა.
7. შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა.
8. ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი
9. შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები
10. მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნარჩენების გატანა.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115487 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115487 ბრძანებასთან ერთად.
4 . ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.